

რწა ზოვანე ზამასკელი

სიტყუამ სარწმუნოებისათჳს ღასამკობელალ ნმსტორიანთა*

ღვმს უკუე ჩუენ ცხოვნებულთა იმ-
რთისათა შხოლოდშობილისა მიერ
ღისა შისისა, ჟომელი მისცა საჯს-
რად ჩუენდა საღმრთოხსაებრ სიტყუ-
სა, რწმუნებად შამისა მიმართ და ღისა და
სულისა ზმიდისა; და ერთი იმერთი და ერთი
არსებად იმრთეებისა სამთა შინა გუამოვნე-
ბათა. ზა ვითარმედ სიტყუად იმრთისა ცხ-
ორებისათჳს ჩუენისა უქცეველად ჳორც იქმ-
ნა და დაიკარვა ჩუენ შორის, მრწმუნებელთა
საღმრთოთა სახარებათასა. ჳარნა ვინაფგან
შთამომთესველმან ღუარძლთამან ორღანოდ
თჳსსა ჳუმევითა ვიეთითამე შერეულ-ყო და
აღაშფოთა ერი იმრთისა; აღადგინნა სულმან
ზმიდამან თანამზრძოლნი ჳეშმარიტებისანი,
მწყემსნი და მოძღუარნი, ვითარცა მნათობნი
სოფელსა შინა, მქონებელნი სიტყუასა ცხორე-
ბისასა და მათ მიერ სამეუფოხსა გზისა მიმართ
ნარმიდღუა ჩუენ, რომელთა სამუღლისა გზისა
მოგ ზაურობად ასწავეს, არა მიქცევითა არცა
მარჯუენედ საგონებელისა, არცა განცხადებ-
ულად მარცხენედ აღსაარებულისა მიმართ,
რომელთანი ჩუენცა, ყოვლითა ძალითა შედ-
გომილნი, არა შევსცთებით ჳეშმარიტებისაგან.

2. ჳრამედ გურწამს ვიდრემე შამად და ღე
სული ზმიდად – სამებად თანაარსი, ერთი იმ-
რთეებად სამთა გუამთა, ესე იგი არს პირთა
შორის, თაყუანისცემული და მსახურებული
ყოვლისა აგებულისა მიერ. ზა ვითარმედ თჳთ
იგი მხოლოდშობილი ღე და სიტყუად იმრთი-
სა, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა შობილი
შამისაგან, ჳორც უქცეველად იქმნა სულისაგან
ზმიდისა და შარიამისგან ქალწულისა, არცა
იმრთეებისა ჳორცთა ბუნებად ქცეულებითა,
რამეთუ უქცეველ და უცვალებელ არს იმ-
რთეებად, არცა ჳორცთა ბუნებად იმრთეებისა
შეცვალებითა, რამეთუ ყოვლისავე შემატებისა
მიუთუალველ არს იმრთეებად.

3. ჳინაღცა აღვიარებთ ერთისა წმიდისა სამე-

ბისაგანისა ოფლისა ჩუენისა ჳესუ ჳრისტეს
ზედა ორთა ბუნებათა სრულთა, საზღვართაე-
ბრ და სიტყუათა მათთა, რადთა არა ქცეულე-
ბად ანუ შერევნად შემოვიღოთ, ხოლო ერთსა
გუამსა, რადთა არა ორობად ძეთად და მეოთხე
გუამი სამებისა შორის შემოვიყვანოთ. ჳამეთუ
ბუნებად უკუე სხუაგუარობასა ჳყოფს, ხოლო
გუამი სხუაობასა და პირსა განასაზღვრებს.
ჳამეთუ, უკუეთუ წმიდისა სამებისა ზედა სამ-
თა გუამთა მეტყუელნი სამთა ვქადაგებთ პირ-
თა, საჭიროდ შეემთხუევის ოფლისა ჩუენისა
ღესუ ჳრისტეს ზედა აღმსაარებელთა ორთა
გუამთასა, თანააღსაარებად ორთა პირთაღცა.

4. ჳწ უკუე, ბუნებად და არსებად და ხატებად
სახესა ცხად-ჳყოფენ, ესე იგი არს ზოგადობასა,
ვითარ-იგი იმრთეებად, კაცებად. ჳოლო გუამი
და პირი და განუკუეთელი – კერძობითსა
და თავით თჳსით მდგომარესა, ვითარ-იგი ვი-
თარმედ იგი ვინმე და იგი; იმრთეებისა ზედა
უკუე შამად და ღე და სული ზმიდად, ხოლო
კაცებისა ზედა – **სეტრე, სავლე, ზოვანე.**

5. ჳითარცა შეუძლებელ არს ბუნებად და
ბუნებად ერთბუნებაყოფად ჳრისტეს შორის,
ეგრეთვე შეუძლებელ არს გუამი და გუამი
ერთგუამყოფად მის შორის. ჳოლო უკუეთუ
შესაძლებელ არს გუამისა და გუამისა ერთ-
გუამყოფად და პირისა და პირისა ერთპირქმნად,
შესაძლებელ არს ბუნებისა და ბუნებისა ერთ-
ბუნებაყოფად ჳრისტეს შორის.

6. ჳითარცა არა არს გუამი უარსებო, ხოლო
არა საჭირო არს თითოეულისა გუამისათჳს
განთჳსებული არსებად ქონებად, ეგრეთვე არა
არს ბუნებად უგუამოდ და არა საჭირო არს
შეერთებულთა ზედა თითოეულისა ბუნებისა-
და თჳსაგან განთჳსებული გუამი ქონებად.

7. ჳითარცა წმიდისა სამებისა ზედა სამ-
თა გუამთა მეტყუელნი არა ვიძიულებით
თითოეულისა გუამოვნებისა თჳსსა ბუნება-
სა მიცემად, არამედ სამთავე ერთი ბუნებად

* ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენი ვაჩეს ძის «დოგმატიკონში». ქართული თარგმანების ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონები დაურთო ა. ჩანტლაძემ, თბ., 1997. გვ.7-29.

აქუს და არსებად საზოგადო იმრთეებისად, და არცა უარსებო არს ერთიცა მათგანი, არცა თითოეულსა თვსი ბუნებად აქუს თვსაგან, ეგრეთვე ჭრისტეს ზედა ორთა ბუნებათა მეტყუელნი, არა ვიძულებით თითოეულისა ბუნებისა თვსა გუამსა მიცემად; არამედ ორთა ბუნებათა აქუს ერთი გუამი საზოგადო ძეობისად, ესე იგი არს ძისა იმრთისად; რამეთუ იგივე გუამი ძე იმრთისა არს იმრთეებისაებრ და ძე ჭალწულისა კაცებისაებრ. ნა არცა უგუამო არს ერთიცა თითოეულთა ბუნებათა მათგანი, არცა თვსი გუამი აქუს თითოეულსა. ნა ვითარ-იგი მუნ სამთა გუამთა ერთ ბუნებად ვიტყოდეთ, ეგრეთვე აქა ორთა ბუნებათა ერთ გუამად ვიტყვო.

8. ზითხვად: არსა გუამი უარსებოდ? სთქუა სადმე, ვითარმედ არასადა. შიეც უკუე თითოეულსა გუამსა წმიდისა სამებისასა თვსი არსებად, გარნა ვერ მისცემ. ღოლო უკუეთუ სთქუა, ვითარმედ იგივე ბუნებად არს, ბუნება სამთავე გუამთა ვთქუა მეცა, ვითარმედ უკუეთუ არა არს ბუნებად უგუამოდ, იგივე გუამი არს გუამ ორთავე ბუნებათა ჭრისტესთა.

9. აკუეთუ არა არს გუამი უპიროდ, ღოლო ორნი გუამნი არიან ჭრისტესნი, საჭირო არს პირთაცა ორთა თქუმად შისთა.

10. ჴითარ-იგი **სეტრე** ერთი გუამი არს, ღოლო ბუნებანი ორნი – სული და ჳორცნი, რამეთუ სხვთა ვიდრემე ბუნებითა გულისწმა-ჰყოფს, ესე იგი არს არსებითა სულისადათა, ღოლო სხვთა განიკუეთების, ესე იგი არს ჳორცთადათა. ღოლო ერთ არს **სეტრე** და ერთგუამი ამის მოქმედისა და მის ვნებულისა; და არცა სული განიკუეთების, დაღათუ **სეტრე** განიკუეთების; არცა ჳორცნი გულისწმა-ჰყოფენ, დაღათუ **სეტრე** გულისწმა-ჰყოფს. წრამედ **სეტრე** გულისწმა-ჰყოფს უკუე, ვითარ-იგი აქუს სული, ღოლო განიკუეთების, ვითარ-იგი არს ჳორც. ჴგრეთვე ჭრისტე, მეოფი ერთითა გუამითა, ღოლო მქონებელი ორთა ბუნებათა, იმრთეებისასა და განხორციელებისასა, იმრთეებითა ვიდრემე შისითა საკრველთ-მოქმედებდა, ღოლო კაცებითა შისითა ივნებდა. ნა არცა იმრთეებად მისი ივნებდა, არცა ჳორცნი საკრველთ-მოქმედებდეს, არამედ ერთი ჭრისტე, ერთი გუამი, იგივე პირი ამათ მოქმედებდა ვითარცა იმერთი და მათ ივნებდა ვითარცა კაცი. ნა ვითარ-იგი **სეტრეს** ზედა სული ვიდრემე მისცემს ჳორცთა გრძნობასა

და მოძრავობასა და ჳორცნი მიიღებენ, ღოლო ერთი არს გუამი მიმცემელისა და მიმღებელისად, ეგრეთვე ჭრისტესაცა ზედა იმრთეებად ვიდრემე მისცემს და კაცებად მიიღებს. ღოლო ერთი არს გუამი მიმცემელისა იმრთეებისა და მიმღებელისა კაცებისად.

11. აკუეთუ ძე ჭალწულისად იქმნა ძე იმრთისა მადლით, ორნი ძეობანი – ერთი ბუნებითი და ერთი მადლითა; და არა ერთი ძე, არამედ – ორნი. ჴამეთუ ძე ბუნებითი და ძე მადლითი ძმად ვიდრემე ინოდნენ, ღოლო ერთად ძედ არა ითქუას ოდესცა. ჴინადათგან ყოველნი, მადლით შვლებულნი იმრთისანი ნათლისღებისა მიერ, არა ერთ ძე ვართ ბუნებითისა თანა ძისა იმრთისა და ერთპირ.

12. ღოლო ჩუენ არა ვიტყვო ძესა ჭალწულისასა ძე იმრთის ქმნილად, არცა გუამსა კაცისასა იმერთქმნილად, არამედ ძესა იმრთისასა ძედ ჭალწულისად და გუამსა ძისა იმრთისასა – კაცად გამოჩინებულად.

13. სახელი იმრთისად და სახელი კაცისად, ეგრეთვე სულისა და ჳორცთად, არა გუამსა დაჰსახვენ, არამედ ბუნებასა. ნა დაღათუ გუამოვნებისა ზედა ითქუას, არა საზღვარსა ცხად-ჰყოფს გუამოვნებისასა, არამედ თუ რომლისა ბუნებისად არს გუამი. იმერთი-შამად – არა გუამოვნებისა თვთებასა ცხად-ჰყოფს იმერთი, არამედ თუ რომლისა ბუნებისად არს; ღოლო მამობად – თვთებასა გუამოვნებისასა. ჴაცი-**სეტრე** – კაცი ვიდრემე ცხად-ჰყოფს, თუ რომლისა ბუნებისად არს, ღოლო **სეტრე** ცხად-ჰყოფს საკუთრად გუამსა.

14. ჴუამი ბუნებასა შინა იხილვების და ბუნებად გუამსა შინა. ნა ამისებრ ვიტყვო ჭრისტეს შორის ორთა ბუნებათა – იმრთეებასა და კაცებასა. ნა რამეთუ ყოვლითურთი კერძოთა შინა და კერძონი ყოვლითურთისა შინა არიან.

15. ჴერძოებ **სეტრეს** სული და ჳორცნი, ღოლო კერძოებ ჭრისტესსა – იმრთეებად და კაცებად.

16. ხუეულებად არს ჩერილისად, ოდესმე ორთავე კერძოთაგან სახელისდებად ყოვლითურთისად. ჴითარცა აფალი იტყვს: «ღოლო გეშინოდენ უფროდსლა შემძლებელისა სულისა და ჳორცთა წარწყმედად გეჴენიასა შინა» (მთ.10,28). წჴა, ორთაგანვე სახელ-სდვა ყოვლითურთისა, რომელ არს კაცი, ღოლო ერთისა კერძოდაგან, ვითარცა იტყვს **ნავით**: «აკურთხევდინ ყოველი ჳორცი სახელსა წმი-

დასა შისსა»(ფს.144,21). ჩაცვალად ამისსა ვითარმედ – «ყოველი კაცი» – რამეთუ არა ჯორცი თვნიერ სულისა აკურთხევს იმერთსა და – «სამეოცდაათთა სულთა თანა შთავიდა **საკობ ჴგვბტესა**»(საქმ.7,14), და «რკინაჲ განვლო სულმან მისმან»(ფს.104,18), რამეთუ სული თვნიერ ჯორცთაჲსა არა შეიკრვის.

17. ჴგრეთვე ოდესმე იმერთად იტყვს ღერილი ჴრისტეს და ოდესმე კაცად, და ოდესმე იმერთად და კაცად, და ოდესმე იმრთეებისა შისისათჳს მეტყუელებს და ოდესმე კაცებისათჳს, ხოლო ოდესმე თანად ორთათჳსვე. ჴინაჲცა სათანადო არს მაღალთაჲ ვიდრემე იმრთეებისა შისისა მიჩემებაჲ, ხოლო მდაბალთაჲ – კაცებისა შისისაჲ. ჴა ამათიცა და მათი – ერთისა გუამისა შისისაჲ.

18. ჴქუმიტა უკუე ამისითა, ვითარმედ «იმერთი სრული» და «კაცი სრული», ბუნებათა სრულებად საცნაურ-იქმნების. ჴრა გუამი დაინიშნვის, რამეთუ იმერთი ბუნებისა ცხადმოფელი არს. ჴგრეთვე და კაცი. ონყით ჴისა და სიტყვისა იმრთისაჲ, ვითარმედ სრული გუამი არს და ვითარმედ უჴამო არს, და უხილავ, და მიუწთომელ, და განუხილველ, და გარეშეუწერელ, და უვნებელ, და ვერ შეეხების შას ვნებაჲ, არცა გინებაჲ. ონ უკუე, ვითარ-იგი გუამი არს სრული, სხუად არს თვნიერ შამისა, რამეთუ სხუად არს შამად და სხუად ჴე და სხუად სული ღმიდაჲ, ესე იგი არს სხუად და სხუად გუამი, ვითარცა იტყვს იმრთისმეტყუელი **სრიგოლი**: «რამეთუ მუნ ვიდრემე სხუად და სხუად, რადთა არა გუამოვნებანი შევჴრინეთ, ხოლო არა სხუა და სხუა, რამეთუ ერთ არიან სამნივე და იგივე იმრთეებითა»(ებ.101), ესე იგი არს ბუნებითა, რამეთუ იმრთეებაჲ ბუნებისა არს სახელ და არა გუამოვნებისა. ჴოლო უწინარეს საუკუნეთა ქონებაჲ მყოფობისაჲ, და უხილავობაჲ, და მიუწთომელობაჲ, და განუხილველობაჲ, და გარეშეუწერელობაჲ, და უვნებელობაჲ, და დამბადებელობითობაჲ საღმრთოჲ, და ყოვლისა შემძლებელი ნებაჲ, ყოვლისა შემძლებელობითი მოქმედებაჲ – ესე ყოველნი არა გუამისანი არიან, არამედ ბუნებისანი, რამეთუ მსგავსებით იხილვებიან შამისა შორის და ჴისა და სულისა ღმიდისა. ჴოლო მსგავსებით ხილულნი ყოველთაჲ თანაარსთა გუამთა შორის, ბუნებითნი არიან განმყოფელნი გუამისანი, თანაარსთა გუამოვნებათაგან ვითარ-იგი არს უმობელობაჲ შამისაჲ და შო-

ბილობაჲ ჴისაჲ და გამომავლობაჲ სულისა ღმიდისაჲ.

19. ონყით უკუე კუალად, ვითარმედ ჴორცთა ოფლისათა აქუს ჴამიერი მყოფობაჲ და არაარსისაგან არსად მოსრულობაჲ და შესახულობაჲ და რაბამობაჲ და ფერი და ასონი და გარეშენერაჲ და განსახილველობაჲ და კაცობრივი ცხორებაჲ და ძრვაჲ და გრძნობაჲ და ადგილითი-ადგილად მიცვალებად და ნებებაჲ კაცობრივი, და მოქმედებაჲ კაცობრივი, და შიმშილი, და წყურილი, და ძილი, და გულის-სიტყუანი, და მოშიშებაჲ, და ურვაჲ, და ყურიმლისცემაჲ, და ნერწყუვაჲ, და ონგელოზისა მიერ შეწვენაჲ, და ვნებაჲ, და სიკუდილი, და ყოველნივე კაცობრივნი. ორამედ ესე ყოველნი ბუნებისანი არიან და არა გუამოვნებისანი, რამეთუ ესე ყოველნი თითოეულისა გუამისა შორის სწორებით იხილვებიან, რამეთუ არათუ მქონებელობაჲ ცხვრთაჲ გუამსა ცხად-ჴყოფს, არამედ მქონებელობაჲ ნიშნიანთა ცხვრთა ანუ ჩამოზიდულთაჲ განჴყოფს თანაარსთა გუამოვნებათაგან, რამეთუ მქონებელობაჲ ცხვრთა ბუნებითი არს ყოველთა კაცთაჲ, ხოლო მქონებელობაჲ ნიშნიანთა ცხვრთა, ანუ ჩამოზიდულთაჲ, გუამსა და პირსა განასახლვრებს. ორცა უკუე კაცობრივთა აღვიყვანებთ იმრთეებისა ჴედა, არცა საღმრთოთა შთამოვიყვანებთ კაცებისა ჴედა, დაღათუ მიიხუმიდეს საღმრთოთა ჴორცნი, რამეთუ მიმცემელობითი არს იმრთეებაჲ, არა მიმღებელობითი, და მისცემს თავისა თჳსისათა, არა მიიხუამს ჴორცთასა, რომლისათჳს არცა საღმრთონი გუამსა განასახლვრებენ, არცა კაცობრივნი, არამედ ბუნებასა და ბუნებასა შეისწავებენ.

20. ონყით კუალად, ვითარმედ არა ოდეს ყოფილ არიან თავით თჳსით ჴორცნი ოფლისანი, არცა მიუღიეს დასაბამი და მიზეზი ყოფისაჲ, თვნიერ ჴისა და სიტყვსა იმრთისა, არცა ქმნილ არიან ნმიდანი იგი ჴორცნი და უხრწნელი იგი სული, სხვსა ვისსამე თვნიერ ჴისა იმრთისა და ყოველნივე ამათნი შისნი არიან და შისდად ითქუმიან, არა საღმრთოჲსა ბუნებისა მისისაჲ, არამედ ვინაჲთგან შისნი და არა სხვსა ვისნიმე არიან ჴორცნი, შისნი არიან და ითქუმიან ყოველნივე ჴორცთა შისთანი. ომისთჳს ვიტყვთ ერთსა გუამსა სიტყვსა და ჴორცთასა და არა ორთა, რამეთუ არა სხუად და სხუად არს, არამედ ერთი. ჴამეთუ უკუეთუ ორნი გუამნი – სხუად და სხუად, რამეთუ გუამი სხუასა შეიქმს

მას ვისმე – და უკუეთუ სხუად და სხუად, არლა მერმეცა ერთი, არამედ ორნი ძენი.

21. ორთი უკუე არს ჴრისტე და არა ორნი, რამეთუ გუამ იქმნეს ჴორცნი და მიუთუ-
ალველ არს არა გუამქმნად მათი, გარნა არა
5 თვსაგან თავით თვსით გუამ-იქმნეს, არცა
იქმნეს სხვსა ვისდადმე თვნიერ სიტყვსა-იმრ-
თისა, რამეთუ არა გუამქმნად ჰყოფს გუამოვნე-
ბასა და გუამოვნებასა, არამედ თითოეულისა
თვსაგან და მარტოობით და განყოფილად და
10 განთვსებულად გუამქმნილობად და იგი ვინმედ
ქმნად და თვსისა პირისა ქონებად.

22. სრა ვიტყვთ ჴორცთა ოფლისათა არა-
ქონებასა გუამისა ანუ პირისასა, რამეთუ
ულონო არს არაქონებად. სრამედ ვიტყვთ არ-
აქონებასა მათსა სხვსა გუამისა ანუ პირისასა,
თვნიერ სიტყვსა-იმრთისა. ჴამეთუ რომლისანი
იყვნენ სული და ჴორცნი, იგი არს გუამი მათი და
პირი. სნ უკუე, უკუეთუ სხვსა ვისსამე იქმნეს
ჴორცნი იგი და არა სიტყვსა იმრთისა, ვითარ
20 ერთი ძე არს, რამეთუ წარვწერეთ, ვითარმედ
გუამი მას ვისმე შეიქმს ვითარ-იგი **სეტრეს** და
სავლეს და ვითარმედ არა არიან **სეტრე** და
სავლე ერთ ძე და არცა **სეტრე** **სავლე** არს და
არცა **სავლე** – **სეტრე**. ჴინაძცა უკუეთუ ორნი
25 გუამნი ვთქუნეთ, სხუად ძისა იმრთისად და
სხუად ძისა ჴალწულისად თქუნებრ, არცა ძე
იმრთისად არს ძე ჴალწულისად, არცა ძე ჴა-
ლწულისად – ძე იმრთისად თვნიერ ვითარ ჩუენ
მადლით. თა შეუძლებელ არს ბუნებითისა ძისა
30 და მადლითისა ძისა ერთდევყოფად, რამეთუ ძე
და ძე ძმად უკუე ითქუმიან ანუ მისვე მამისა
და ანუ მისვე დედისაგანად. ღოლო ერთ ძედ
ორნივე არასადა. ჴინაძთგან ჩუენცა, მადლით
შვილ ქმნულნი იმრთისანი ერთძე ვართ, ძესა
35 თანა იმრთისასა და თაყუანის-მცემდედ ჩუენ
ზეცისანი და ქუეყანისანი და ქუესკნელთანი,
გარნა არა არს ესე. ღოლო ვითარმედ ძე და ძე
მრავალნი ძენი არიან, ვითარცა იტყვს მოციქუ-
ლი: «რამეთუ შეჰგვანდა შას, ჴომლისა მიერ
ყოველნი და ჴომლისათვს ყოველნი მრავალთა
40 ძეთა დიდებად აღმყვანებელსა» (ებრ.2,10). სჴა,
მადლით ძენი და მრავალნი და არა ერთი.

23. სრა ვიტყვთ, ვითარმედ სიტყუად ქცეულ
იქმნა და იქმნა ჴორც, არამედ, ვითარმედ
45 თვთ იგი სიტყუად დაემკვდრა მუცელსა ჴალ-
წულისასა, ვითარცა საღმრთოდ რამე თესლი
და მიიხუნა ჴალწულისაგან უბნოთა სისხლთა
მისთაგან და თავსა შორის ძესსა გუამ-ყვნა

ჴორცნი სულიერნი, სული სიტყვერი და გონ-
იერი. თა რამეთუ იყვნეს და გუამოან იყვნეს
ჴორცნი ჴეშმარიტებით არა თავით თვსით, არ-
ამედ სიტყუასა შორის იმრთისა. სრცა აქუნდა
5 თესლი ანუ სხუად რამე გუამი, თვნიერ სიტყუ-
ად-იმერთი, რამეთუ ყოველისა ჩჩვლისა გუამ
თესლი არს, ხოლო ამათდა – სიტყუად-იმერ-
თი. თა ყოველნივე ჴორცნი ვისსამე იქმნებიან
ჴორც, ხოლო ესენი არცა ერთისა ვისდა, თვნი-
10 ერ სიტყვსა-იმრთისა; ამისთვს ერთი გუამი და
ესრეთ გულისჴმა-გჴყოფთ ამას, ვითარმედ
სიტყუად ჴორც იქმნა და ვითარმედ განჴორ-
ციელდა და განკაცნა, არა რამეთუ იქცა და რა-
მეთუ უქცევდელ არს იმრთეებად და უცვალებ-
15 ელ. სრცა რამეთუ ჴორცნი ქცეულ-იქმნეს
იმრთეებად, რამეთუ ეგო თითოეული მათი
სრულსა შინა საზღვარსა თვსისა ბუნებისასა.
სრამედ რამეთუ არცა დასაბამი და მიზეზი მყ-
ოფობისად აქუნდა წმიდათა მათ ჴორცთა თვნი-
20 ერ თვთ მის ძისა და სიტყვსა-იმრთისა, არცა
სხვსა იქმნეს ოდესცა, თვნიერ შისსა, და რა-
მეთუ შის შორის გუამ იქმნეს და შის შორის
იქმნა შეერთებად ბუნებათად საღმრთოჲსა და
კაცობრიჲსა, თვნიერ ვითარისავე შერევისა
25 და ქცეულებისა და შეცვალებისა.

24. სრა ვიტყვთ, ვითარმედ სიტყუად საღმრ-
თოჲთა ბუნებითა თვსითა ინერწყუა, ანუ ვნე-
ბად თავს-იდგა. სრამედ ვინაძთგან ჴგი იქმნა
ჴორცთა მათ გუამ და შისნი არიან ჴორცნი
30 და არა სხვსანი და არა არს სხუად და სხუ-
ად, არამედ ერთი და იგივე ძე და ჴრისტე და
ოფალი; და ვნებანი ჴორცთა შისთან შისდა
მიმართ აღიყვანებიან, რამეთუ შისნი არიან და
არა სხვსანი.

25. ჴითარ-იგი სული ჩემი ჩემი არს და არა
სხვსად და ჴორცნი ჩემნი ჩემნი არიან და არა
სხვსანი და ყოველნივე სულისა და ჴორცთა ჩე-
მთანი ჩემნი არიან და არა არიან სხვსანი; არ-
ამედ არცა სულისა ჩემისანი ჴორცთა ჩემთანი
40 არიან, არცა ჴორცთა ჩემთანი არიან სული-
სა ჩემისანი. სრამედ განკუეთად ვიდრემე და
წარდინებად ჴორცთა და არა სულისანი არიან,
ხოლო მგონებელობად და კეთილმსახურებად
სულისა და არა ჴორცთანი. თა ესენიცა და
იგინი ჩემნი, ვინაძთგან მე სულითა ვიდრემე
ვიგონებ, ხოლო ჴორცითა განვიკუეთები, ეგ-
რეთვე იმერთი-სიტყუად ივნებს ჴორცითა და
საკვრველთ-მოქმედებს იმრთეებითა. თა არცა
იმრთეებასა ევნების, არცა ბუნებად ჴორცთად

საკრველთ-მოქმედებს დაღათუ კაცობრივისა მოქმედებისა მიერ საღმრთო მოქმედება გამოჩნდებოდა.

26. ჰეუძლებელ არს უკუე თქუმად რასმე ანუ მოგონებად იმრთისათეს, თვნიერ რომელი-იგი შან საღმრთოთა წერილთა მიერ გამოიცხადა ჩუენ. შა შეუძლებელ არს თქუმად იმრთისა, თუ «რად ჰქმენ ესრეთ» (რომ.9,12), «რამეთუ ყოველნი, რაოდენნი ინებნა ოფალმან, ქმნნა» (ფს.113,11). შა არა ჯერ-არს კაცობრივითა გულისსიტყვთა თქუმად, თუ ვითარ ეგების ესე. «ჴოლო იყავნ იმერთი ჭეშმარიტ და ყოველი კაცი ცრუ», თუ არა მითხარ მე ვინა უწყით, ვითარმედ იმერთმან დაჰბადნა ყოველნი, ვითარ შამამან შვა ძე, ანუ ვითარ სული წმიდა არა იშვების, არამედ გამოვალს ანუ ვითარ «სიტყუა ჯორც იქმნა». ჰამეთუ, ვითარმედ იშვების ვიდრემე ძე, ხოლო გამოვალს სული, წმიდისა წერილისაგან გუასმიეს. შა ვითარმედ «სიტყუა ჯორც იქმნა» (ინ.1,14), ხოლო თუ ვითარ, არავინ იცის, თვნიერ მშობელმან შამამან და შობილმან ძემან – ჯორცქმნილმან სიტყუამან და გამომავალმან სულმან წმიდამან.

27. ჰად არს უცხო საიდუმლო დაფარული ნათესავთადგან, რომელი ვერ ცნეს ბრძენთა, ვერცა მთავართა ამის საუკუნოჲსათა, გარნა სიტყუა ჴუარისაჲ, სისულელე ქადაგებისაჲ, ვითარმედ იმერთი კაც იქმნა და ჴუარს ეცუა. შა რამეთუ **სბრაამ** მეგობარი იყო იმრთისაჲ და მოკუდა. **სსაია** წინაჲსწარმეტყუელი იყო და განიხერხა, **სერემია** მუცლითგან დედისაჲთ განწმედილ იყო და ჯურღუმულსა მწვრისასა შთაიგდო და მოკუდა, და **სოვანე** მუცლითგან დედისაჲთ აღივსო სულითა წმიდითა და თავი წარეკუეთა. შა არცა ერთი ამათგანი შეირაცხა სისულელედ, თვნიერ სიტყუა ჴუარისაჲ, ვითარმედ იმერთი კაც იქმნა და ოფალი დიდებისაჲ ჴუარს ეცუა. **სსე** კაცთა მიერ ურწმუნო და სისულელე და ულონო არს, ვითარმედ იმერთმან სახილველყოფად და ნერწყუჲთა თავს-იდვა. **სსე** მორწმუნეთა ძალ იმრთისა არს, ვითარმედ ყოველნი, რაოდენნი ჰნებავნ, ძალ-უც მათი ქმნა. **სსე** არს უცხო და მიუწომელი საიდუმლო, რამეთუ უკუეთუმცა ეცნა, ვითარმედ იმერთი და ოფალი დიდებისაჲ არს ჴალწულისა ძე, არამცა ჴუარს ეცუა იგი. **სსრეთ** უხილავი იხილვების და ივნებს უვნებელი და ჰგიეს არა უდარეს უვნებელად, რამეთუ ივნებს

ბუნებაჲ ჯორცთაჲ და უვნებელად დაადგრების იმრთეებაჲ, რამეთუ უვნებელ არს იმერთი დაღათუ გუამოვნებით შეერთო ვნებულთა ჯორცთა. სათანადო უკუე არს დაცვაჲ ერთგობასა 5 წერილისასა და ვითარმედ «სიტყუა ჯორც იქმნა და დაიკარვა ჩუენ შორის» (ინ.1,14). შა ვითარმედ ძე **შავითისი** და ოფალი **შავითისი** და ძე **სბრაამისი**. შა ვითარმედ მიიხუნა ჯორცნი და თესლისაგან **სბრაამისსა** იწყო და უწინარეს **სბრაამისსა** იყო და «კაც არს და ვინ იცნას ჴგი?» (იერ.17,9). შა მამაკაცი არს შემდგომად **სოვანესსა** მომავალი და პირველ **სოვანესსა** იყო და ვითარმედ პური ზეცით გარდამომავალი ჯორცნი შისნი არიან. შა ვითარმედ «არავინ აღჴდა ზეცად, თვნიერ ზეცით გარდამოსრული ჴგი» (ინ.3,13). შა მეორე **სდამ**, ოფალი ზეცით; და ვითარმედ ძე ჴაცისაჲ, ბუნებაჲ, რომელსა ესმა: «მინაჲ ხარ და მინადვე მიიქცე» (ჴკორ.15,47), მჯდომარე არს საყდართა 10 ზედა და იმსახურების ყოვლისა აგებულისაგან. შა სამებამან შემატებაჲ არ მიითუალა და წყულ იყავნ ყოველი, რომელი მოსავ იყოს კაცის მიმართ.

28. ჴითარ უკუე შესაძლებელ არს თანაერთ- 25 ჴმობაჲ ამათი? **სრათუ** რამეთუ ძე და სიტყუაჲ იმრთისაჲ და იმერთი ბუნებით იქმნა ძე ჴალწულისა, ჴაც. ორნი ბუნებანი – ერთი გუამი, ჴგივე უპირატესი საუკუნეთაჲ და უპირატესი **სბრაამისი** და **სოვანესი** და ოფალი **შავითისი** უხილავი, უვნებელი, განუხილველი, ჴგივე ვითარცა იმერთი ახალ ჴაც იქმნა. შა ვითარცა კაცი ხილული იგივე განსახილველ, ვნებულ და ნერწყუვისა თავსმდებელ იქმნა საღმრთოჲსა ბუნებისა შისისა, არცა ერთისა ამათგანისა 30 მიახლებითა.

29. ჰამეთუ იტყვს წერილი, ვითარმედ «თესლით **სბრაამისით** მიიღო», და ვითარმედ «თესლისაგან **შავითისსა** ჴორციელად» და «ძე **შავითისი**, ძე **სბრაამისი**», რამეთუ **სბრაამისა** ნათესავისა და **შავითიანისა** თესლისაგან იყო ჴალწული, ხოლო მისგან იყვნეს სიტყვსადა შესხმულნი იგი ჴორცნი. შა რამეთუ ჩუენისა ბუნებისანი იყვნეს ჴორცნი და არა თანაარს შამისა, არცა ზეცით გარდამოსრულ იყვნეს. 40 ჴოლო «სიტყუა ჯორც იქმნა», ვითარმედ თვთ ჴგი იქმნა გუამ ჴორცთა და ერთი არს გუამი. ჴოლო «დაიკარვა ჩუენ შორის» (ინ.1,14), რათა აჩუენოს განყოფილებაჲ და უქცევლობაჲ ბუნებათაჲ. ჴოლო სხუაჲ ბუნებაჲ არს დამ-

კარგებელისა და სხუად დასაკარგებელისა, რამეთუ თესლიცა სისხლთაგან დედაკაცისათა მიიხუამს ჯორცთა და სხუად უკუე არს გუამი დედაკაცისა და სისხლნი გუამისა მისისანი, გარნა არა ორნი ჯორცნი, არცა ორნი გუამნი არიან თესლისა და დედაკაცისა მიერ თესლისაგან მიხუამულთა მათ ჯორცთანი, არამედ ერთნი ჯორცნი და ერთი გუამი ორთა შინა ბუნებათა – სულისა და ჯორცთასა. ჴგრეთვე ძეცა იმრთისა სრული გუამი იყო და დაღათუ მიიხუნა წმიდისა ჴალწულისაგან ჯორცნი სულიერნი, არა ორნი გუამნი, არამედ ერთი გუამი იქმნა ორთა შინა ბუნებათა, რამეთუ რად-იგი მუნ ბუნებითად, ესე აქა ზესთა ბუნებისა და მოგონებისად.

30. ოსრეთ იმერთ არს ჴრისტე, რომლისათვს იმრთისმშობელ არს მისი მშობელი ჴალწული, რამეთუ მშობელი იმრთისა სამართლად იმრთისმშობელად სახელ-იდების არა ვითარცა შიშულისა იმრთისა მშობელი, არცა ვითარმცა მისგან აქუნდა შხოლოდშობილსა დასაბამი იმრთეებისა, არამედ ვითარცა მისგან განჯორციელებულისა იმრთისა მშობელი, რამეთუ უკუეთუ არა იმრთისმშობელ არს მშობელი, არცა შობილი იმერთი არს და რამეთუ არა შემდგომად მისგან შობისა იქმნა იმერთ, არამედ პირველითგანვე იმერთად მყოფი მისგან ჯორციელ იქმნა და იშვა იმერთი განჯორციელებული.

31. ჴამეთუ ჴრისტესმშობელ ვიდრემე იყვნეს სხუანიცა და რამეთუ **სერემია** მუცლითგანვე დედისაჲთ იცხო და წმიდა-იქმნა, და **სოვანე** მუცლითგანვე დედისაჲ ალივსო სულითა წმიდითა, და ყოველნი წინაჲსწარმეტყუელნი, მღდელნი და მეფენი ცხებულნი ოფლისანი და ყოველნი ჴრისტეანენი ცხებულ არიან, რამეთუ «გამოხუედ», – იტყვს, – «მაცხოვრად ერისა ჴენისა და ჴსნად ცხებულთა ჴენთა» (ამბ. III, 13). ღოლო იმრთისმშობელი სხუად არცა ქმნილ არს, არცა არს, არცა იყოს. ომისთვს ღირსად და სამართლად იმრთისმშობელად იწოდოს მხოლოდ ნამდვლვე ჴეშმარიტისა იმრთისა და ძისა და სიტყვსა იმრთისა განჯორციელებულისა მშობელი.

32. ჴუამი უპიროდ არა არს. ოწ უკუე, უკუეთუ გუამნი ორნი, უეჭუელად პირნიცა ორნი. ოღალათუ განიკუთნვენ ერთმანერთისა საქმეთა და ვნებათა.

33. ოკუეთუ ერთი ბუნებაჲ ვთქუათ იმრთეებისა ჴრისტესისა და კაცებისა ოისისა,

შერევნად და ქცეულებაჲ შემოვილოთ ბუნებათა ოისთაჲ და ვნებულად შევასმინოთ საღმრთოჲ ბუნებაჲ, ხოლო უკუეთუ ორნი ბუნებანი ვთქუნეთ ჴრისტესნი, შეურევნელად დავიცავთ შეერთებასა და იმრთეებასა უვნებელად და უქცეველად. ოა უკუეთუ ვთქუნეთ ორნი გუამნი, ორთა ძეთა შემოვიყვანებთ და ოთხებასა გუამთასა თაყუანის-ვსცემთ; და ოთხება იყოს სამებაჲ გუენებოს თუ გინა არა. ჴამეთუ, უკუეთუ აღვრიცხუნეთ სამნი და ერთი, უღორო არს არა თქუმაჲ ოთხთაჲ, და მყოფთა და თქუმულთაჲ შეუძლებელ არს არა აღრიცხუვაჲ, ხოლო უკუეთუ ერთი გუამი და ორნი ბუნებანი ვთქუნეთ ჴრისტესნი, ყოველნივე კეთილად იყვნენ. ოითარ-იგი სული ითქუმის ყოფად და დამკვიდრებაჲ ჯორცთა შინა და ითქუმიან ჯორცნი შესამოსლად სულისა და არა არიან ორნი გუამნი, არამედ ბუნებანი ვიდრემე ორნი, ხოლო გუამი ერთი, **სეტრე**, ნუუკუე და ანუ **სავლე**.

34. ჴამეთუ უკუეთუ ორნი გუამნი თანაარსნი მარჩბივნი ერთისა მამისა და ერთისა დედისანი, ყოვლითურთ მსგავსნი ურთიერთას, არასადა ითქუმიან ერთ ძედ, ვითარ ორნი გუამნი სხუაარსნი სხვსა და სხვსა ბუნებისა და გუამოვნებისაგან ქმნილნი ერთ ძედ აღსაარებულ იქმნენ.

35. ჴაჲსათვს აგებული თანათაყუანის-იცემების ამგებელისა, უკუეთუ არცა ერთისა ბუნებისა, არცა ერთისა გუამოვნებისანი არიან. ჴამეთუ, უკუეთუ არცა ერთისა ბუნებისა, არცა ერთისა გუამოვნებისანი არიან ძე იმრთისაჲ და ძე ჴალწულისაჲ თქუნებრ, ვითარ ერთ არიან ორნივე? ჴამეთუ არცა **სეტრე** და **სავლე** დაღალთუ ზიარ არიან ბუნებითა და მადლითა და პატივითა და მოციქულებითა, ერთ კაც არიან, ანუ ერთ მოციქულ.

36. ოითარ-იგი წმიდისა სამებისა ზედა სამნი გუამნი ბუნებითისა იგივეობისა და ურთიერთას დატევნისათვს ერთ იმერთ არიანცა და სახელ-იდებიან, ეგრეთვე ოფლისა ჩუენისა ჴესუ ჴრისტეს ზედა ორნი ბუნებანი გუამოვნებითისა იგივეობისა და ურთიერთას დატევნისათვს ერთ ძე არიან. ჴამეთუ ძეობაჲ გუამოვნებისაჲ არს და არა ბუნებისაჲ და ვითარ-იგი მუნ ერთი თაყუანისცემად არს სამთადვე, ეგრეთვე აქა ერთი არს თაყუანისცემად, ვინაჲ უკუეთუ არცა ბუნებაჲ ერთი არს, არცა გუამი ერთი, რაჲსათვს ერთი ძე და პატივი

ერთი და თავუანისცემად იგივე.

37. ზითარ-იგი შეუხებელ არს განცეცხლებული მახული არა თვისა ბუნებისათჳს რკინისა, არამედ გუამოვნებით რკინისადა შეერთებულისათჳს ცეცხლისა ბუნებისა, ეგრეთვე არა თვისა ბუნებისათჳს თავუანის-იცემებიან ჳორცნი ოფლისანი, არამედ გუამოვნებით შეერთებისათჳს სიტყჳსა-იმრთისა.

38. ოკუეთუ მეუფე ჴრისტესსა არს იმერთი-სიტყუად, ვითარ ერთ არიან ორნივე, რამეთუ მეუფე და მონად ერთჲ ვერ იქმნებიან.

39. ოკუეთუ მეუფე ჴრისტესსა არს იმერთი-სიტყუად, არა მისვე პატივისანი არიან, რამეთუ არა ერთპატივ არიან მეუფება და მონება.

40. ოკუეთუ არა პირველ საუკუნეთაჲსა მის და შხოლოდშობილისა პირმან თავს-იდვა ნერწყუვად, სხუად და სხუად ვიდრემე არს პირი, ხოლო უკუეთუ სხუად და სხუად არს პირი, არცალა პირებით შეერთებულ არიან.

41. ოკუეთუ შხოლოდშობილისა ძისა იმრთისანი იყვნეს ვნებისა მიმთუალველნი ჳორცნი, შისივე არს ვნებაჲცა, ხოლო უკუეთუ სხჳსა ძისა, ვითარ არა ორნი ძენი?

42. ჴოვლითურთ ზიარ არიან შამად და ძე და სული ჩმიდად თვნიერ გუამოვნებისა. Ⴀნ უკუე, უკუეთუ არა გუამოვნებითა შეერთებასა და განჳორციელებასა იტყჳ შამისაცა და სულისა ჩმიდისასა აღიარებ განჳორციელებასა, რამეთუ უკუეთუ მადლით და განზრახვისა იგივეობით და თჳსებით და სიყუარულით ვთქუათ განკაცებაჲ შამისაცა და სულისასა ვიტყუთ განკაცებასა, რამეთუ ერთ არს ნებაჲ და განზრახვაჲ და მადლი და სიყუარული შამისა და ძისა და სულისა ჩმიდისაჲ. ჴოლო უკუეთუ თანამოსახელობით, არარად ჩუენსა უმეტესი აქუს, «რამეთუ მომცა ჩუენ ჳელმწიფებაჲ შვილ იმრთისა ყოფად» და «მე ვთქუ: იმერთნი ხართ და ძენი მალლისანი ყოველნი»(ინ.10,34). ჴოლო იმერთ არს შამადცა და სული ჩმიდად.

43. ოკუეთუ ორნი გუამნი არიან ერთი შამისაგან მხოლოდსა და სხუად დედისაგან მხოლოდსა, არა იგივე იყოს უმამო და უდედო.

44. ოკუეთუ მადლით შეერთებაჲ განკაცებაჲ ითქუმის, მრავალგზის განკაცებულ არს იმერთი დაღათუ უფროდს და უმცროდს, რამეთუ მკჳდრ არს ჩუენ შორის და ტაძარნი შისნი ვართ.

45. «დიდებაჲ ჩემი სხუასა არა მივსცე»(ეს.42,8), – იტყჳს იმერთი. ზითარ უკუე თანა-

იდიდოს იმრთისა ძე ჴალწულისაჲ? ოკუეთუ სხჳსა ბუნებისაჲ არს და სხჳსა გუამოვნებისაჲ.

46. ძანაარსნი არა ურთიერთას თანაგანხილულ იქმნებიან არსებითა, რამეთუ არავინ ურთიერთას თანაგანხილავს არსებითა **სეტრეს** და **სავლეს**, რამეთუ ერთ არს არსებაჲ მათი, ხოლო სხუაარსნი არსებითა თანაგანხილვიან ურთიერთას და არა გუამოვნებითა, რამეთუ არავინ იტყჳს, ვითარმედ **სოვანე** უგრძეს არს მის რომლისამე ცხენისა.

სული და ხორცნი სხუაარს ვიდრემე, ხოლო ერთგუამ ურთიერთას არიან, ვინაჲცა ქონებაჲ ასოთაჲ, ჳორცთაჲ არს და საგრძნობელნი მათნივე არიან. ჴოლო მგრძნობელობითი ძალი სულისაჲ არს და არა ამისთჳს გუამოვნებით განეყოფებიან ურთიერთას. Ⴀა რამეთუ ჳორცთაჲცა ბუნებითი არს ქონებაჲ ასოთა და საგრძნობელთაჲ და ეგრეთვე სულისა ბუნებითი არს ქონებაჲ მგრძნობელობითისა ძალისაჲ და მოქმედებაჲ ჳორცთა მიერ, რამეთუ ორლანო სულისა არიან ჳორცნი. Ⴀსე უკუე განყოფილებაჲ ბუნებითი არს და ბუნებასა განასაზღვრებს. ჴოლო **სავლესი** ვიდრემე მტიერყოფად და **სეტრეს** თმა-ფაჩუნიერობაჲ, ამისი უკუე ნიშოვნებაჲ, ხოლო მისი ცხჳრჩამოზიდულობაჲ გუამოვნებისა განმასაზღვრებელ არიან, ხოლო ნერწყუვათა და ყურიმლისცემათა მიმთუალველობაჲ და არამიმთუალველობაჲ არა განასაზღვრებენ გუამსა, რამეთუ ყოველი ბუნებაჲ კაცთაჲ მიმთუალველი არს ნერწყუვათა და ყურიმლისცემათაჲ, ხოლო ბუნებაჲ იმრთეებისა – მიუთუალველი. ზინაჲცა ინერწყუებოდა-რაჲ ჴრისტე, ჳორცნი უკუე მიითუალვიდეს ნერწყუვასა, ხოლო იმრთეებაჲ მიუთუალველ იყო ნერწყუვათა. ჴგრეთვე ყურიმლისცემათაჲცა შინა და ვნებათა ბუნებაჲ ვიდრემე ჳორცთაჲ მიითუალვიდა ამათ, ხოლო იმრთეებაჲ არა მიითუალვიდა. Ⴀა რამეთუ ლიტონიცა კაცი, ინერწყუებოდის-რაჲ ჳორცნი, უკუე მიითუალვენ ნერწყუვათა, ხოლო სული არასადა და არა ამისთჳს სხუად გუამი არს სულისაჲ და სხუად პირი, და სხუად ჳორცთაჲ; რამეთუ ქონებაჲ ვიდრემე ასოთა და პირისა ხილულისა და ნერწყუვათა მიმთუალველისაჲ და არაქონებაჲ ასოთაჲ არცა პირისა ხილულისა ანუ ნერწყუვათა მიმთუალველისაჲ ბუნებისაჲ არს, რამეთუ ხილულობაჲ და უხილავობაჲ, ნივთიერობაჲ და უნივთოებაჲ, შესახულობაჲ და შეუსახველობაჲ ბუნებისა არიან განყოფილება.

47. ღოლო გუამოვნებისა თვსაგან თავით თვსით შემტკიცებულობად და სხუაქმნილობად და პირისა თვთ აღრჩევით და განყოფილად მოქმედებად. ღოლო ჴორცნი ოფლისანი არცა თვსაგან თავით თვსით შემტკიცდეს ოდესცა და სხუა ვინმე თვნიერ სიტყვსა იმრთისა იქმნეს, არცა განყოფილად სიტყვსა-იმრთისაგან მოქმედ-იქმნეს, ვითარ-იგი სულისადა ზედა და ჴორცთა სახილველ არს, რამეთუ არცა ჴორცნი სხუანი არიან და სული სხუად, არცა ჴორცნი და სული სხვსანი, არცა განყოფილად მოქმედებენ, არამედ სული ჴორცთა მიერ მოქმედებს და საღმრთო ნებად და მოქმედებად სულისა მიერ და ჴორცთა მოქმედებდა შეერთებისა მიერ და ნებებისა სულისა და მოძრავობისა ჴორცთადასა.

48. ჴოველსა გუამსა განყოფილად და თვსაგან აღმრჩეველობით ჰნებაეს და მოქმედებს და იძრვის და თვთება გუამოვნებისა არს ესე. ნა ამისთვის იგივე არს გუამი და პირი და მხოლოდსა ოდენ იმრთეებისა შორის არა თვსაგან აღმრჩეველობით თითოეული გუამი, არცა თვსაგან აღრჩევით ჰნებაეს, არამედ ერთი არს ნებად, ერთი მოქმედებდა, ერთი მოძრავობად სამთავე გუამთად; და მხოლოდ უშობელობად ოდენ არს თვთება შამულისა გუამოვნებისა, ხოლო შობილობად – ძეობითისა გუამოვნებისა, და გამომავლობად – სულისა მდიდისა გუამოვნებისა, ვინადაც ოფლისა ჩუენისა სესუ ჴრისტეს ზედა, უკუეთუ ორნი სთქუნეთ გუამნი, საჭირო არს თითოეულისა მათისა თვსაგან აღმრჩეველობით და განყოფილად ნებებად და მოქმედებად და არცა მოქმედებითა, არცა სხვთა სახითა შეიერთებიან. ღოლო უკუეთუ მოქმედებითა და ნებითა შეიერთებიან, ერთი გუამი არს და ერთი პირი.

49. ხალ-გვც თქუმად, ვითარმედ იმერთი-სიტყუად შვა ჴალწულმან და ვითარმედ ძე და სიტყუად იმრთისა არა იშვა დედაკაცისაგან, რამეთუ ორნი შობანი უწყნით შხოლოდ-შობილისა ძისა და სიტყვსა იმრთისანი: ერთი პირველ საუკუნეთად, უჴორცოდ და იმრთებრ მხოლოდსა შამისაგან, რომლისა შობისაებრ არა იშვა დედაკაცისაგან და არს უდედო, და სხუად იგი უკუანაესკნელთა ჟამთა მხოლოდსა დედისაგან ოდენ ჴორცითა განგებულებით მაცხოვარებისათვს ჩუენისა, რომლისა შობისაებრ უმამო არს და პირველისა მის უკუე შობისაებრ არა იშვა დედაკაცისაგან, ხოლო მეორისა შობისაებრ დედაკაცისაგან იშვა. ჴა-

მეთუ არა დედაკაცისაგან აქუნდა დასაბამი და მიზეზი საღმრთოდას მყოფობისა, არამედ მხოლოდსა შამისაგან. ღოლო დასაბამი განჴორციელებისა და კაცქმნისა სულისაგან მდიდისა და **შარიამისგან** ქალწულისა. შრავალნი უკუე ითქუმიან სხვთა და სხვთა გუართა და ურთიერთას წინააღმდეგომად საგონებელ არიან ვერ კეთილად განმგონებელისათვს, რამეთუ საღმრთოდას ჴერისცვალებისათვს ერთი ვიდრემე მახარებელი იტყვს, ვითარმედ «შემდგომად ექუსისა დღისა» (მთ.17,1), ხოლო სხუად იტყვს, ვითარმედ «შემდგომად რვისა დღისა» (ლკ.9,28) და სხუა-ხმაობენ ურთიერთას, არათუ კეთილად ვინმე განიხილოს. ღოლო კეთილად განმხილველისათვს არა სხუაჴმაობა, არამედ ერთჴმობა არს, რამეთუ მეტყუელმან, ვითარმედ შემდგომად ექუსისა დღისა, არცა დღე იგი რომელსა შინა თქუა ოფალმან, ვითარმედ არიან ვინმე და შემდგომი მათ დღეთა თანა აღრიცხუა, არცა დღე ჴერისცვალებისა, ხოლო რვათა მეტყუელმან, იგიცა და ესე თანააღრიცხუნა.

50. სუნებად არს საზოგადოობად სახისა, ვითარ-იგი ღმრთეებად, კაცებად. სახელი იმრთისა ოდესმე საღმრთოდას ბუნებისა ზედა დაინესების, ვითარ-იგი ვიტყვთ: «ერთ არს იმერთი», ესე იგი არს – ერთი იმრთეებად. ღოლო ოდესმე გუამისა ზედა, ვითარცა ვიტყვთ – იმერთი შამად, იმერთი ძე, იმერთი სული მდიდა და ამას პირველ ბუნებისაგან სახელდებულსა. ჴიტყვთ უკუე, ვითარმედ სხუა არს იმერთი და სხუა – კაცი, ესე იგი არს სხუა ბუნებად იმრთეებისა და სხუა – კაცებისა. ნა წმიდად **სრიგოლი** იმრთისმეტყუელი **ლიდონის** მიმართ მისწერს, რამეთუ: «ბუნებანი ვიდრემე ორნი – იმერთი და კაცი, ვინაფთგან სულიცა და ჴორცნი» (ებ.101). ნა კუალად ვიტყვთ: იმერთი შამად, იმერთი ძე და იმერთი სული მდიდა და კაცი **სეტრე** და კაცი **სავლე**.

51. სუამი არს ესე ვინმე და იგი ვინმე, **სეტრე** და **სავლე**. ნა არა არს **სეტრე** **სავლე**, არცა **სავლე** – **სეტრე**, არამედ სხუად და სხუად და ორნი და არა ერთი. ნალათუ ჴიარ არიან ერთობითა ბუნებისაფთა, არცა **სეტრე** და **სავლე** არიან ერთ, არამედ – ორ. ნალათუ ჴიარ არიან ერთობითა ბუნებისაფთა და იგივეობითა მამისა და დედისაფთა და ღირსქმნულებითა მისვე მადლისა და პატივისაფთა, რამეთუ ვერცა ერთსა რას ძალ-უც ერთძეობისა ქმნად, თვნიერ იგივეობასა გუამოვნებისასა.

52. ჴითარცა არსებად და ბუნებად იგივე არიან, წმიდათა მამათაებრ, ეგრეთვე გუამიცა და პირი იგივე არიან.

53. ჴრთისა ბუნებისად არს შხოლოდშობილი და პირველ საუკუნეთად ძე იმრთისად და ძე ჴალწულისად, ანუ ორთად? ჴრთისა გუამისად, ანუ ორთად? ჴრთი ნებად არს იმრთეებისა და კაცებისად, ანუ ორნი – სხუად და სხუად? ჴრთი მოქმედებად იმრთეებისა და კაცებისად, ანუ ორი სხუად და სხუად? ჴუნებითი ძეობად და მადლითი ძეობად ერთი არს, ანუ სხუად და სხუად? ოკუეთუ მონად არს იმრთისად ძე ჴალწულისად, მონებად და მეუფებად ერთ არიან პატივითა ანუ სხუა და სხუა? სირსა შხოლოდშობილისა და საუკუნეთა უპირატესისა ძისასა პნერწყუვიდეს, ანუ რომელსა პირსა? ჴაჟამს

მოივლინა **ღაბრიელ** და პირითგამო იმრთისადთ ეზრახებოდა ჴალწულსა, ერთი იყო პირი მისი და იმრთისად? ოკუეთუ სხუად და სხუად ბუნებად და სხუად და სხუად ნებად და სხუად და სხუად მოქმედებად და სხუად და სხუად გუამი და სხუად ძეობად და სხუად პატივი და სხუად და სხუად პირი, ვითარ არა ორნი ძენი?

54. ჴერ-არს ნამდვლვე ამათი ესრეთ დამარხვად, ვითარმედ უვნებელ არს იმერთი და უქცეველ და იმრთისა ჴედა სამთა თაყუანისსაცემელთა გუამოვნებათა აღსაარებად და სამებისა მიმართ რწმუნებად და ნათლისღებად, და არა მსახურებად აგებულისად და ერთჴმობით დაცვად ჴმიდისა ჴერილისა ძუელისაცა და ახლისად.

